შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
“ლევ 2019“

ცემენტის წარმოება კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით

(ქ. რუსთავი, ცემენტის ქარხნის და რკინიგზის ხაზის მიმდებარე ტერიტორია, ს/კ 02.07.02.042)

საქმიანობის სკრინინგი

შემსრულებელი:

შპს ,,ზეციხელი 2010“

მობ: 599 60 72 24

რუსთავი 2026

სარჩევი

შესავალი ---------- 3

1. საწარმოს განთავსების ადგილი ---------- 4

2. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა ---------- 6

3. გარემოზე ზემოქმედება საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ---------- 8

3.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე ---------- 8

3.2. ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება ---------- 8

3.3. ზემოქმედება გარემოს სხვა რეცეპტორებზე ---------- 9

4. კუმულაციური ზემოქმედება ---------- 9

დანართები:

დანართი 1. გენ-გეგმა ---------- 10

დანართი 2. სიტუაციური სქემა ---------- 11

დანართი 3. ტექნოლოგიური სქემა ---------- 12

დანართი 4. ამომნაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ---------- 13

დანართი 5. ამომნაწერი საჯარო რეესტრიდან ---------- 15

შესავალი

შპს ,,ლევ 2019“-ს (ს/ნ 416349749), ქ. რუსთავში, ცემენტის ქარხნის და რკინიგზის ხაზის მიმდებარედ, შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანიას“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 02.07.02.042) მოწყობილი აქვს ცემენტის წარმოების ქარხანა აღნაგობის უფლების საფუძველზე.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 30 იანვრის N57/ს ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს ,,ლევ 2019“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად საწარმოში განთავსებულია და ფუნქციონირებს ორი - 12 ტ/სთ და 17 ტ/სთ წარმადობის წისქვილი. საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია 10 სილოსი, საერთო მოცულობით 1200 ტონა. საწარმოს წლიური წარმადობა შეადგენს 191 400 ტონას, რისთვისაც საწარმო მოიხმარს 153 120 ტონა კლინკერის, 9 570 ტონა თაბაშირის და 28 710 ტონა დანამატებს.

საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად 12 ტ/სთ წარმადობის წისქვილმა განიცადა გარკვეული ამორტიზირება, რისთვისაც დაიგეგმა მისი შეცვლა იგივე ტიპისა და იგივე წარმადობის წისქვილით.

იქედან გამომდინარე, რომ ძველი წისქვილის დემონტაჟს და ახალი წისქვილის მონტაჟს სჭირდება გარკვეულ დრო - დაახლოებით 5 თვე, საწარმოო სიმძლავრის შენარჩუნების მიზნით, დაიგეგმა ახალი წისქვილის დამონტაჟდება არსებული 12 ტ/სთ წისქვილიდან 30 მეტრში, რაც საშუალებას მოგვცემს ახალი წისქვილის ამოქმედებამდე იმუშაოს არსებულმა წისქვილმა. ამასთანავე დამონტაჟდება წისქვილთან დაკავშირებული იგივე ტიპის და ტექნიკური მონაცემების კვანძები. ახალი წისქვილის ამუშავების შემდეგ ამორტიზირებული 12 ტ/სთ წარმადობის წისქვილი გაუქმდება.

1. **საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა**

შ.პ.ს. „ლევ 2019”-ის ცემენტის საწარმო (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) მდებარეობს ქ. რუსთავის სამრეწველო ზონაში, ცემენტის ქარხნის და რკინიგზის ხაზის მიმდებარედ, 13928.00 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების, შ.პ.ს. „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია”-ს (ს/ნ 216322619) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N 02.07.02.042. მოცემულ მიწის ნაკვეთის კუთხეთა წვეროების გეოგრაფიული კოორდინატები მოცემულია ცხრილში 1

ცხრილი 1.

N	X	Y
1	504661,595	4595890,01
2	504705,99	4595840,39
3	504706,619	4595831,406
4	504703,826	4595831,211
5	504671,861	4595746,251
6	504646,5565	4595715,675
7	504554,467	4595809,135
8	504628,674	4595872,804
9	504637,455	4595865,778

საწარმოს ტერიტორია შემოღობილია, აქვს წყალმომარაგება-კანალიზაციის, ბუნებრივი აირის და ელექტრომომარაგების ქსელები.

ტერიტორიიდან სამხრეთით ფიქსირდება უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. თაზაქენდი გარდაბნის მუნიციპალიტეტში. პირდაპირი მანძილი საწარმოს მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N 02.07.02.042) სამხრეთის საზღვრიდან უახლოეს მოსახლემდე (საკადასტრო კოდი: N 81.14.02.322) შეადგენს 195 მეტრს.

საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი წყალსატევია მდ. მტკვარი, რომელიც მიედინება ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს არანაკლებ 2950 მეტრის დაშორებით. აღმოსავლეთით 50 მეტრში გადის მარინის სარწყავი არხი. საწარმოს ტერიტორიის მომიჯნავედ გადის ქ. რუსთვის შიდა საავტომობილი გზა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით 330 მეტრში რკინიგზა. ტერიტორიის მიმდებარედ აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით ესაზღვრება სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, სადაც განთავსებულია როგორც უმოქმედო სამრეწველო საწარმოები, ასევე მოქმედი სხვადასხვა პროფილის საწარმოო ობიექტები.

საწარმოს ტერიტორიის აღმოსავლეთით 72 მეტრში მდებარეობს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 81.14.02.425), ჩრდილოეთის მხრიდან 10 მეტრში ესაზღვრება ფ/პ ლევანი ვარსემაშვილის (პ/#:22001005466) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთი (ს/კ N02.07.03.034) მასზე განთავსებული შპს „მაქს იმპორტი“-ს (ს/ნ 405164174) ცემენტის საწარმოთი, ხოლო 30 მეტრში მდებარეობს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 02.07.02.918), ჩრდილო დასავლეთის მხრიდან საპროექტო საწარმოს მიწის ნაკვეთის საზღვრიდან დაახლოებით 85 მეტრში მდებარეობს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს მიწის ნაკვეთი (ს/კ N02.07.03.035), 80 მეტრში შპს „„ფერო ელოის ფროდაქშენი“-ს (ს/N:216302150) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ N02.07.02.516) ფეროშენადნობი ქარხნით, 130 მეტრში შპს „სფრინგ კონსტრაქშენის“-ს (ს/ნ:400016326) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ N02.07.02.517) შენობა ნაგებობებით, დასავლეთის მხრიდან 10 მეტრში ესაზღვრება ფ/პ გიორგი ვარსემაშვილის (პ/N: 01014005951) საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N02.07.02.448) შენობა ნაგებობებით, რომლის ტერიტორიაზე რაიმე სახის საწარმო არ ფუნქციონირებს, სამხრეთის მხრიდან უშუალოდ ესაზღვრება შპს "ბუჩარდა" ს (ს/N:216289647) საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N02.07.02.002), სადაც განთავსებულია საამშენებლო ბლოკების წარმოების საამქრო შენობა ნაგებობებით და შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N 02.07.02.948) შენობა ნაგებობებით. სამხრეთ-დასავლეთით 350 მეტრში მდებარეობს შპს „სფრინგ კონსტრაქშენი"-ს საკუთრებაში

არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 02.07.02.642), რომელიც ამჟამად აუთვისებელი ტერიტორიაა და მის ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს რაიმე სახის საწარმოო ტერიტორია. დასავლეთით 450 მეტრში მდებარეობს შპს „კაპიტალ +“-ს საკუთებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 02.07.02.651) მასში არსებული ანგარის ტიპის შენობით, რომელიც უფუნქციოა.

2. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 30 იანვრის N57/ს ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს ,,ლევ 2019“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობობების ცვლილებაზე, რომლის შესაბამისად, საწარმოში განთავსებულია და ფუნქციონირებს ორი, 12 ტ/სთ და 17 ტ/სთ წარმადობის წისქვილი.

საწარმო მდებარეობს ქ. რუსთავის სამრეწველო ზონაში, ცემენტის ქარხნის და რკინიგზის ხაზის მიმდებარედ, 13928.00 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს შ.პ.ს. „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია”-ს (ს/ნ 216322619) საკუთრებას, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია: N 02.07.02.042

საწარმოში ხდება ძირითადად 300, 400 და 500 მარკის ცემენტის წარმოება, კლინკერის, თაბაშირის და დანამატების დაფქვით. საწარმოს წლიური წარმადობაა 191 400 ტონა სხვადასხვა მარკის ცემენტის წარმოება. საწარმო მუშაობს 330 სამუშაო დღის განმავლობაში, 20 საათიანი სამუშაო გრაფიკით. 191 400 ტონა ცემენტის წარმოებისათვის გათვალისწინებულია 153 120 ტონა კლინკერი, 9 570 ტონა თაბაშირი და 28 710 ტონა ღორღი.

ნედლეული მასალები - კლინკერი, თაბაშირი და მინერალური დანამატები საწარმოში შემოიზიდება საავტომობილო ტრანპორტით. ნედლეულის განთავსება ხდება შენობაში ნედლეულის სასაწყობო მობეტონებულ მოედანზე ცალცალკე ნაყარების სახით. შემოსული ნედლეული დამტვირთველით იტვირთება წისქვილების მიმღებ ბუნკერებში. მისაღები ცემენტის მარკის, ასევე კლინკერის მარკის და დანამატების სახეობის გათვალისწინებით გამოითვლება მასალების მატერიალური ბალანსი. მატერიალური ბალანსიდან გამომდინარე საწარმოს ოპერატორი ახორციელებს ცალკეული კომპონენტების დოზირებას. შეზავებული კომპონენტები ხვდება ტრანპორტიორზე, რომლის საშუალებით

ხდება წისქვილების კვება. აღწერილი პროცესის პარალელურად ხდება ნედლეულის მეორე პორციის მომზადება და წისქვილში მიწოდება. შეზავება ისე არის დარეგულირებული, რომ წისქვილები იკვებება თანაბრად. დაუშვებელია ნედლეულის პორციებად მიწოდება.

დაფქვილი ცემენტი წისქვილის შემდეგ გადადის სამტვერე საკანში, საიდანაც მტვრის დაჭერა ხდება ციკლონისა და სახელოიანი ფილტრების საშუალებით. სამტვერე საკნიდან სეპარატორის გავლით ცემენტი გადადის ელევატორში, სადაც მას ემატება მტვერდამჭერ სისტემებში დაჭერილი ცემენტი და გადაიტვირთება ცემენტის სილოსებში. საწარმოში განთავსებულია 10 ერთეული სილოსი, რომელთა ჯამური მოცულობაა 1200 ტ (თითოეულის 120 ტ). საწარმოდან ცემენტის გაცემა ხდება, როგორც ნაყარის სახით ასევე ტომრებში დაფასოებული, საავტომობილო ტრანსპორტით. ორივე წისქვილი განთავსებულია ფარდულის ტიპის შენობაში, რომლებიც სამი მხრიდან და ზემოდან დახურულია.

სილოსებზე, დამონტაჟებულია 2 ცალი სახელოებიანი ფილტრი. ერთი სახელოებიანი ფილტრი ემსახურება 6 ცალ სილოსს, რომელთა გამოყოფის წყაროები შეერთებულია ერთმანეთთან, მათში ცემენტის მიღება ხორციელდება მონაცვლეობით, დანარჩენ 4 სილოსზე დამონტაჟებულია მეორე სახელოიანი ფილტრი და სილოსებში ცემენტის მიღება ხდება ასევე მონაცვლეობით.

ცემენტის წისქვილები ცალ-ცალკე აღჭურვილია ეფექტური აირგამწმენდი სამსაფეხურიანი სისტემით. I საფეხური – დამლექი კამერა 10 %-იანი ეფექტურობით, II საფეხური – ციკლონი 75 %-იანი ეფექტურობით და III საფეხური, სახელოებიანი ფილტრი 99.9 %-იანი ეფექტურობით. გამონაბოლქვი აირმტვერნარევის გაწმენდის შემდეგ დაჭერილი ცემენტის მტვერი უბრუნდება ცემენტის ელევატორს. ცემენტის 12 ტ/სთ წარმადობის წისქვილიდან წარმოქმნილი აირმტვერნარევი გაწმენდის შემდეგ გაიფრქვევა ატმოსფეროში 12 მეტრი სიმაღლის მილით, რომლის დიამეტრია 0,5 მეტრი. ხოლო 17 ტ/სთ წარმადობის სეპარაციული წისქვილიდან წარმოქმნილი აირმტვერნარევი გაწმენდის შემდეგ გაიფრქვევა ატმოსფეროში 16 მეტრი სიმაღლის მილით, რომლის დიამეტრია 0,6 მეტრი. აირგამწმენდი სისტემისათვის ჰაერის მიწოდება ხდება საკომპრესორო სადგურიდან.

ამჟამად არსებული 12 ტ/სთ წარმადობის წისქვილი და მასთან დაკავშირებული ტექნიკური დანადგარები ამორტიზირებულია და ხშირად გამოდის მწყობრიდან, რაც იწვევს წისქვილის მოცდენას და მათი რემონტი იწვევს დამატებით ხარჯებს. დაიგეგმა მისი შეცვლა იგივე ტიპის 12 ტ/სთ წარმადობის ახლი წისქვილით, რომლის ზომებია სიგრძე 13 მეტრი, სიგანე 2 მეტრი. ცემენტის წარმოების სიმძლავრის შენარჩუნების მიზნით, ახალი წისქვილის და მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი დანადგარების დამონტაჟება მოხდება ამორტიზირებული ხაზიდან 30 მეტრში სამი მხრიდან შემოსაზღვრულ და

ზემოდან გადახურულ შენობაში და მისი ამუშავებისთანავე მოხდება ამორტიზირებული წისქვილისა და მასთან დაკავშირებული მანქანა-დანადგარების გაუქმება. ახალი წისქვილის წარმადობა და მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მანქანა-დანადგარებს (ტრანსპორტიორი, ელევატორი, სეპარატორი, ჰაერის ფილტრები) ექნებათ იგივე ტექნიკური მახასიათებლები რაც განსაზღვრულია გზშ-თი და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებით. ამდენად ამორტიზირებული წისქვილისა და მასთან დაკავშირებული მანქანა-დანადგარების ახალი წისქვილითა და ახალი მანქანა-დანადგარებით შეცვლა არ გამოიწვევს ცემენტის საწარმოო ქარხნის სიმძლავრის, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ინტენსივობების, ხმაურის დონისა და გარემოს სხვა რეცეპტორებზე ზემოქმედების ცვლილებას.

ცემენტის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის სქემა მოცემულია დანართი 3-ში.

3. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში

3.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

საწარმოდან გაფრქვეული, ატმოსფერული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია: არაორგანული მტვერი და ცემენტის მტვერი.

12 ტ/სთ წარმადობის წისქვილის ადგილმდებარეობის შეცვლა არ ივწევს დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროთა რაოდენობის ცვლილებას, არ იცვლება ტექნოლოგიური კვანძების წარმადობები, ასევე გაფრქვევის წყაროების, გამოყოფის წყაროებისა და აირმტვერნარევის პარამეტრები, შესაბამისად არ შეიცვლება ატმოსფერული ჰაერზე საწარმოდან გამოყოფილი დამაბინძურებელი ნივთიერებების ზემოქმედების ხარისხი.

3.2. ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება

შპს ,,ლევ 2019“-ის ცემენტის საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით საწარმოს მიერ გამოწვეული ხმაურის დონე შეადგენს 105 დბ-ს, ხოლო ხმაურის დონე საწარმოს შემოგარენში არსებული საწარმოების გათვალისწინებით მიღებულია 110 დბ. აღნიშნული მონაცემებით ხმაური არ აღემატება დასაშვებ ნორმებს უახლოესი მოსახლისათვის, რადგან როგორც ცემენტის საწარმოში, ასევე მის შემოგარენში არსებულ საწარმოებში ხმაურის გამომწვევი ძირითადი დანადგარები, განთავსებულია დახურულ შენობაში, რაც წარმოადგენს დამცავ ბარიერს, რომელიც საგრძნობლად ამცირებს ხმაურის

დონეს (მინიმუმ 25 %-ით), ამიტომ ხმაურის დონე 110 დბ-დან შემცირდება 82.5 დბ-მდე.

აღნიშნული მონაცემის გათვალისწინებით გათვლილია ბგერითი სიმძლავრის დონეები, რომლის მიხედვითაც უახლოეს მოსახლესთან (195 მეტრი) „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დაგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის თანახმად დადგენილ ნორმაზე ნაკლებია (28,70 დბ).

იქედან გამომდინარე, რომ ახალი 12 ტ/სთ წარმადობის წისქვილის ძველი წისქვილიდან 30 მეტრში განთავსების შემთხვევაში არ იცვლება ხმაურის გამომწვევ წყაროთა რაოდენობა და თითოეულის ხმაურის დონე, არ შეიცვლება საწარმოში წარმოქმნილი ხმაურის ჯამური დონეც. ასევე, რადგან არ შეცვლილა ცემენტის საწარმოს შემოგარენში არსებული საწარმოების ჯამური ხმაურის დონეები, შესაბამისად უახლოეს მოსახლესთან აღნიშნული საწარმოებიდან კუმულაციურად გამოწვეული ბგერითი სიმძლავრის დონე იგივე დარჩება.

3.3. ზემოქმედება გარემოს სხვა რეცეპტორებზე

რაც შეეხება სხვა რეცეპტორებს, როგორიცაა ზედაპირული წყლის ობიექტი, ნიადაგი, ფლორა, ფაუნა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და სხვა, დაგეგმილი ცვლილება დამატებით უარყოფით ზემოქმედებას არ მოახდენს.

4. კუმულაციური ზემოქმედება

გამომდინარე იქედან, რომ არ იცვლება საწარმოს სიმძლავრის, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ინტენსივობების და ხმაურის დონე, ასევე არ შეცვლილა ცემენტის საწარმოს შემოგარენში არსებული საწარმოების მონაცემები, ადგილი არ ექნება გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების ცვლილებას.



1. ამორტიზირებული 12 ტ-იანი წისქვილი (გასაუქმებელი)
2. 17 ტ-იანი წისქვილი
3. ახალი 12 ტ-იანი წისქვილი
4. სილოსები
5. ნედლეულის საწყობი
6. ოფისი

სიტუაციური სქემა

დანართი 1.



ტექნოლოგიური სქემა

დანართი 3.



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B26054785, 20/03/2026 12:56:57

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ლევ 2019
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	416349749
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	04/11/2019
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქალაქი რუსთავი, მარის არხის III დასახლება , ს.ს. რკინა-ბეტონის მიმდებარე ტერიტორია

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- საერთო კრება
- დირექტორი

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი

  ლევან ვარსიმაშვილი, 22001005466

კაპიტალი

ნებადართული კაპიტალი	არ არის განსაზღვრული
განთავსებული კაპიტალი	არ არის განსაზღვრული
გამოშვებული წილი	არ არის განსაზღვრული
განთავსებული წილი	100 ერთეული

პარტნიორები

კლასის ტიპი: /კლასის გარეშე/ , რაოდენობა:100, ნომინალური ღირებულება:არ არის განსაზღვრული

მესაკუთრე	რაოდენობა	წილი	წილის მმართველი
ლევან ვარსიმაშვილი, 22001005466	100	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახდი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **N 02.07.02.042**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882025596561 - 27/05/2025 13:07:41

მომზადების თარიღი
27/05/2025 14:47:27

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
რუსთავი	სამრეწველო		
02	**07**	**02**	**042**

მისამართი: ქალაქი რუსთავი , ცემენტის ქარხნის და , რკინიგზის ხაზის მიმდებარე ტერიტორია

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 13928.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები N1-დან N19-ის ჩათვლით - სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882012107302 , თარიღი 15/03/2012 11:11:32
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 15/03/2012

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- დადგენილება 9/2-258 , დამოწმების თარიღი:05/02/1997 , ქ.რუსთავის სასამართლო
- ქ.რუსთავის მერის კაბინეტის სხდომის გადაწყვეტილება , დამოწმების თარიღი:05/07/1997
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან. , დამოწმების თარიღი:14/03/2012

მესაკუთრეები:
შპს "თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია", ID ნომერი:216322619

მესაკუთრე:
შპს "თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია"

აღწერა:

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882024216736 თარიღი 20/02/2024 14:38:20	**აღნაგობის უფლების მქონე პირი: შპს "ლევ 2019"** 416349749; **იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"**204378869; საგანი:მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი: 13928.00 კვ.მ. მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით. იპოთეკის საგანი აღნაგობის უფლება ; **იპოთეკის ხელშეკრულება NCAH000761124 , დამოწმების თარიღი20/02/2024, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/02/2024	
2) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882025596561 თარიღი 27/05/2025 13:07:41	**იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"**204378869; საგანი:დაზუსტებული ფართობი: 13928.00 კვ.მ.შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები N1-დან N19-ის ჩათვლით - სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე. ; **იპოთეკის ხელშეკრულება NMA0002374313, დამოწმების თარიღი27/05/2025, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 27/05/2025	

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

შეზღუდული სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882023021096 თარიღი 13/01/2023 11:55:11	**მოაღნაგე: შპს "ლევ 2019"** 416349749; **მესაკუთრე: შპს "თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია"**216322619; საგანი:მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობი: 13928.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:შენობა-ნაგებობები N1- დან N19-ის ჩათვლით - სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე ; ვადა:50 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/01/2023	**უძრავი ნივთის აღნაგობის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N211150291, დამოწმების თარიღი14/10/2021, ნოტარიუსი მერი მერაბიშვილი**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის